

## პირველკლასელთა სასკოლო მზაობის პრობლემებისათვის

ნინო ლაპარტყავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრა, სკოლა-პანსიონი “მერმისი”

### ანუტაცია:

ნაშრომში ნაჩვენებია როგორ აისხება პირველკლასელთა სასკოლო ინტელექტუალური მზაობა შემდგომ კლასებში მოსწავლის ინტელექტის განვითარების დონესა და სასწავლო წარმატებებზე.

სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს ჩაუტარდა ტესტირება კუოლისათვის ინტელექტუალური მზაობის დასადგენად.

გამოკვლეული მოსწავლეების 42% არ აღმოჩნდა ინტელექტუალურად მზად სასკოლო სწავლებისათვის, ხოლო მზად აღმოჩნდა 57%.

II და III კლასში მოსწავლეების იგივე ჯგუფი ვიკვლიერ ვესტლურის ინტელექტის საზომი სკალით. მოცემული ტესტი საშუალებას იძლევა დავადგინოთ ინტელექტის როგორც ვერბალური, ისე არავერბალური და სრული მაჩვენებლური. მიღებული მონაცემები შევადარეთ I კლასში მიღებულ მონაცემებს.

III კლასში შეფასების სისტემაზე გადასცლამ შესაძლებლობა მოგვაც გვაცვლია კავშირი I კლასში სკოლისათვის ინტელექტუალურ მზაობასა და სასწავლო წარმატებებს შორის. სასწავლო წარმატების განმაზრულებად ავიღეთ საშუალო მოსწრება 3 საგნის მიხედვით (ქრონილი ენა, მთებატიკა, უცხო ენა).

### ძივიღეთ შემდეგი შედეგები:

1. მოსწავლეებს, რომლებიც I კლასში არ აღმოჩნდნენ ინტელექტუალურად მზად სკოლისათვის, II და III კლასში ვესტლურის ინტელექტის საზომი სკალის მიხედვით ინტელექტის საშუალო ან ნორმაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ.

2 მოსწავლეებს, რომლებიც I კლასში ინტელექტუალურად მზად არ იყნენ სასკოლო სწავლებისათვის III კლასში აქვთ ცუდი და დამაკმაყოფილებელი შეფასება, ხოლო მათ ვინც მზად აღმოჩნდნენ სწავლებისათვის აქვთ შეფასება კარგი და ფრიადი.

3. ზემოთ მოყვანილი მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას, რომლებიც ინტელექტუალურად არ იყნენ მზად სასკოლო სწავლებისათვის I კლასში, შემდგომ კლასებშიც რჩებათ პრობლემები შემცნებით სფეროში. ფსიჟიკური ფუნქციები (აღჭრა, მეხსიერება, აზროვნება, ყურადღება) ცვლილებებს როდენდა ჯერმდებარება და ყველაფერი ეს აისხება მოსწავლეთა შემდგომ აკადემიურ მოსწრებაზე.

### საჭანრო სიტყვები:

ინტელექტუალური მზაობა, სკოლა, ვესტლურის ინტელექტის საზომი სკალა.

სკოლისათვის მზაობის პრობლემა ერთ-ერთი უპირველესია პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში.

სკოლაში სწავლების დასაწყისი სრულიად ცვლის ბავშვის ცხოვრებას. იგი განვითარების ახალ საფეხურზე გადადის, სადაც თამაშის ადგილს სწავლა იკავებს. შეიძლება ითქვას, რომ იგი იწყებს უკვე სერიოზულ, საქმიან ცხოვრებას და მისი ლალი, უდარდელი დღეები საქმიანი, წესებიანი, ვალდებულებებით აღსავსე დღეებით იცვლება.

სამწუხაროდ, დღეს მთავარი და გადამწყვეტი კრიტერიუმი საშუალო სკოლაში შესასვლელად არის ბავშვის ასაკი, ყველა ექსტრიანი იწყებს სწავლას სკოლაში. ეს ასაკი ემპირიულადა დადგენილი და საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს (თითქმის 40 წელი).

სასკოლო სწავლების დასაწყისად 6 წლის ასაკის შემოღებას წინ უსწრებდა 6 წლიანების გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების კვლევა. გამოკვლეულს ატარებდნენ როგორც ქართველი, ისე რუსი ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, პედაგოგები, მეთოდისტები. (დ. უზნაძე, ლ. ვიგოტსკი, ლ. ბოეოვიჩი, ნ. კრასნოგორსკი, ვ. ეფიმოვი, ე. ტიხეევა).

მიღებული მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ ექვსწლიანთა სწავლება მიზანშეწონილია სწორედ სკოლაში, პედაგოგის ხელმძღვანელობის ქვეშ [1], [2], [3].

მართლაც, 6 წლიან ბავშვთა გარკვეული რაოდენობა ახერხებს შეასრულოს ის მოთხოვნები, რომელიც ელემენტარულ, სასწავლო მასალასთანაა დაკავშირებული და ასევე დამაკმაყოფილებლად ლახავენ იმ სიმნელეებს, რომლებიც ახალ, სოციალურ სიტუაციასთანაა დაკავშირებული. ამავე დროს 6 წლიან ბავშვთა გარკვეული რაოდენობა ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც სკოლისათვის მზაობა გულისხმობს. მათვის სკოლაში შესვლა არის მუდმივი წარუმატებლობების და ფსიქიკური ტრამვების დასაწყისი. წარმოქმნილ სირთულეებს აქვთ როგორც სასწავლო, სააღმზრდელო, ასევე სამედიცინო შედეგიც კი.

სკოლაში სწავლა თავიდანვე გულისხმობს სწავლას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბავშვებს საკმაოდ დიდ ჯგუფებში უხდებათ მიზანდასახული, მართვადი მუშაობა. ამიტომ პირველკლასელი უკვე უნდა იყოს დაუფლებული სკოლის მოწაფის მთელ რიგ ნიშნებს, იგი უნდა იყოს მომწიფებული როგორც გონებრივი, ემოციური, ასევე სოციალური თვალსაზრისით.

მართალია თეორიულად სკოლისათვის მზაობის საკითხი 30-40 წელია მუშავდება ფსიქოლოგების, პედაგტრების, პედაგოგების მიერ როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დღემდე ერთიანი და მკაფიოდ გამოკვეთილი აზრი სკოლისათვის მზაობის შესახებ არ არსებობს.

ი. შვანცარა [4] განიხილავს სკოლისათვის მომწიფების ცნებას, როგორც განვითარებაში ისეთი დონის მიღწევას, როცა ბავშვს უჩნდება უნარი მიიღოს მონაწილეობა სასკოლო სწავლაში.

ის საუბრობს:

1. გონებრივ
2. ემოციურ
3. სოციალურ მზაობაზე

ლ. შენკ - დანცინგერი [5] სხვა ტერმინოლოგიას ხმარობს. იგი საუბრობს ბავშვის:

1. სომატურ
2. ფუნქციონალურ
3. პირვენულ მზაობაზე

რუსი მკვლევარებიც ხაზს უსვამენ, რომ სკოლისათვის მზაობა მრავალ კომპონენტს გულისხმობს [6]

ბოჟოვიჩი აღნიშნავს, რომ სკოლისათვის მზაობა გულისხმობს სააზროვნო მოქმედებების გარეულ დონეს, შემცნებით ინტერესებს, ნებელობით რეგულაციას, მოსწავლის სოციალურ პოზიციას.

ქართველი ფსიქოლოგი შ. ჩხარტიშვილი [5] საუბრობს

1. ფიზიკურ
2. სოციალურ-პიროვნულ
3. გონებრივ მზაობაზე

როცა ვსაუბრობთ ფიზიკურ მზაობაზე უნდა გავითვალისწინოთ ამ ასაკის ბავშვის ფიზიკური განვითარების თავისებურებანი. ამ პერიოდში ხდება ორგანიზმის აქტიური ანატომიურ-ფიზიოლოგიური მომწიფება. ხორციელდება თავის ტვინის ნახევარსფეროების, განსაკუთრებით შუბლის წილის მორფოლოგიური მომწიფება, რაც ქმნის შესაძლებლობას განხორციელდეს მიზანდასახული, ნებელობითი ქცევა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ორგანოებში და ქსოვილებში, რომლებიც საგრძნობლად აძლიერებენ წინა პერიოდთან შედარებით ბავშვის ფიზიკურ გამძლეობას. ეს ყველაფერი ხელსაყრელ, ანატომიურ-ფიზიოლოგიურ წინაპირობას ქმნის სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის.

ანატომიურ-ფიზიოლოგიური მომწიფებიდან ყურადსალებია შემდეგი მომენტები: დიდი კუნთების განვითარება წინ უსწრებს წვრილისას, ამიტომაც ბავშვები უკეთ ასრულებენ შედარებით ფართე ამპლიტუდიან მოძრაობებს, ვიდრე იმას, რომლებიც მეტ სიზუსტეს მოითხოვენ. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია ბავშვებისათვის წერის სწავლებისას.

მეორე კომპონენტი მზაობისა არის ბავშვის სოციალურ-პიროვნული მზაობა. ანუ რამდენად აქვს ბავშვს სწავლის მოტივები ფორმირებული, რამდენად შეუძლია დაექვემდებაროს სასკოლო წესებს და განხორციელოს სასწავლო პროცესში წამოჭრილი ამოცანები.

მესამე კომპონენტი მზაობისა არის გონებრივი მზაობა, რომელშიც იგულისხმება ყველა იმ ფსიქიკური ფუნქციების მომწიფება, რომლებიც საჭიროების და მიხედვით მონაწილეობენ ბავშვის სასკოლო საქმიანობაში. ეს ფუნქციებია: აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, ყურადღება.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით სკოლა ლებულობს ყველა 6 წლის ბავშვს, რომელიც მიმართავს განცხადებით და მათ შორის მათაც, ვისაც 6 წელი დეკემბრამდე შეუსრულდებათ.

ამ ბავშვების გარკვეული რაოდენობა სხვადასხვა მიზეზების გამო არ ჰასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელსაც მათ სწავლების I წელი აკისრებთ. მიზეზი შესაძლოა გამოწვეული იყოს

1. განვითარებაში შეფერხებით
2. პედაგოგიური ჩამორჩენით
3. ც.ნ.ს ადრესული დაზიანებით
4. გარემოს და აღზრდის უკმარისობით.

სწორედ ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა სიტუაცია, როდესაც სკოლაში შესულ ბავშვს სათანადოდ მომწიფებული არა აქვს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი ფსიქიკური ფუნქცია. მოხდება თუ არა ამ პრობლემის დაძლევა თანდათან, თუ აუცილებელი გახდება ამ პრობლემის დასაძლევად სპეციალისტების ჩარევა. აისახება თუ არა ყოველივე სწავლაში წარმოქმნილ სირთულეებში, რაც გავლენას იქონიებს ბავშვისაკადემიურ მოსწრებაზეც.

ამ მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში ბავშვებს ჩავუტარეთ ტესტირება მათი სასკოლო მზაობის დასადგენად.

კვლევის მეთოდი:

გამოვიყენეთ გ. ვიცლავის ტესტი [7], რომელიც ადგენს ბავშვის უნარს სასკოლო სწავლებისადმი და გონებრივ განვითარების დონეს. ე.ი. შესაძლებლობას გვაძლევს ვიკვლიოთ თუ რამდენად არის ბავშვი ინტელექტუალურად მზად სასკოლო სწავლებისადმი.

გ. ვიცლავის ტესტი 15 სუბტესტისგან შედგება და საშუალებას იძლევა ვიკიოთ შემდეგი სფეროები:

1. სწავლებადობა
2. მეტყველების განვითარების დონე
3. ზოგადი გათვითცნობერებულობა
4. რაოდენობრივი სიმრავლეებით ოპერირების უნარი
5. ფორმირების ცოდნა და მათი განსხვავება
6. შეგრძნებათა დიფერენციაციის უნარი
7. ფანქრით და პასტით მუშაობის უნარი, მცირე სივრცეში ორიენტაცია
8. საგანთა კლასიფიკაცია
9. მეხსიერება

თითოეული სუბტესტისათვის გათვალისწინებულია თავისი შეფასებათა სისტემა ქულების საბით.

საბოლოოდ ითვლება ჯამი და ლიდერსის ნორმატიული შკალით პროცენტებში გადადის.

მოცემული შედეგი წარმოადგენს ბავშვის გონებრივი მზაობის დონის მაჩვენებელს.

სასკოლო სწავლებისათვის მზად ითვლება ბავშვი, რომელმაც 60% და მეტი მიიღო.

ცდის პირები:

კვლევა ჩატარდა 32 ბაშზე, რომელთაგან 18 იყო გოგონა, ხოლო 14 ვაჟი. ასაკი მერყეობდა 5 წ.

8 თვიდან – 7 წ. 1 თვემდე.

შედეგების ანალიზი:

გამოკვლეული ბავშვების 42% მიიღო 60% ნაკლები მაჩვენებლი, ხოლო 57%-მა 60%-ზე მეტი.

იმ მოსწავლეებს შორის, რომელთაც მიიღეს ტესტირებისას 60% ნაკლები მაჩვენებლი, სულ 13 ბავშვმა 7 იყო ვაჟი, ხოლო 6 გოგონა. მოცემული ბავშვების ასაკი 5 წ. 8 თვიდან 6. წ. 11 თვემდეა.

ხოლო იმ მოსწავლეებს შორის, რომელთაც მიიღეს 60% მეტი მაჩვენებელი და აღმოჩნდნენ ინტელექტუალურად მზად სასკოლო სწავლებისათვის, სულ 19 ბავშვი, 8 იყო ვაჟი, ხოლო 11 გოგონა. ასაკი 6 წ. 1 თვიდან 7 წ. 1 თვემდე.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს იმ ბავშვების მონაცემებით, რომლებიც აღმოჩნდნენ ინტელექტუალურად მზად სასკოლო სწავლებისათვის.

	გოგონები										ვაკები								
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
სუბტექტურული მიღებული ქულები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
თანმიმდევრული სურათები	7	3	5	6	7	7	7	5	9	5	5	7	7	5	7	3	5	7	9
ფურქის ცოდნა	12	12	11	11	10	12	12	11	12	11	12	12	10	11	10	12	11	10	12
ლუსის დასწავლა	5	5	2	5	5	5	3	2	5	3	5	5	5	2	5	5	2	5	5
საგანთა სხელწოდებების ცოდნა	7	8	8	9	9	7	9	8	8	8	8	8	8	9	8	8	9	8	8
თვლის პროცესი	5	4	3	2	3	2	3	3	4	4	3	3	3	3	3	4	3	3	4
თვლის თანმიმდევრობა	22	20	22	20	22	22	20	22	20	22	22	22	22	22	22	20	22	22	22
საგანთა კლასიფიკაცია	9	9	9	9	9	9	9	9	9	6	9	3	9	9	9	9	9	9	9
რაოდენობის აღწერა	6	6	6	6	6	6	6	6	6	9	6	6	6	6	6	6	6	6	6
გეომეტრიულ ფიგურათა განლაგება	9	9	7	7	8	9	6	7	9	8	9	9	9	7	8	9	7	8	8
სურათების შედარება	8	6	8	8	8	8	8	8	6	4	4	4	4	8	8	6	8	8	8
ფერის და ფორმის დიფერენციაცია	4	4	4	4	4	4	4	4	4	3	4	4	4	4	4	4	4	4	4
ლუსის აღდეგება	8	3	2	2	2	8	3	2	3	6	5	5	5	2	2	3	2	2	2
ანალოგიების პოვნა	6	6	6	5	6	6	6	6	6	2	6	6	6	6	6	6	6	6	6
გადახატვა	6	2	8	8	8	6	2	9	2	8	6	2	2	8	8	2	9	8	8
ნახატის აღწერა	8	8	7	7	8	8	8	7	8	10	8	9	9	8	8	8	7	8	8
ქულათა ჯამი	130	105	105	112	115	128	90	105	105	108	108	109	109	105	115	105	105	115	115
პროცენტული მჩვენებელი	100%	80%	80%	98%	100%	100%	60%	80%	80%	90%	90%	90%	90%	80%	100%	80%	80%	100%	100%

მოსწავლეთა მონაცემები, რომელთაც გ-ვიცლაკის ტესტის მიხედვით 60% ნაკლები მაჩვენებელი მიიღეს, არ აღმოჩნდნენ ინტელექტუალურად მშად სკოლისათვის.

	გოგონები					ვაჟები							
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
სუბტესტებში მიღებული ქულები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
თანმიმდევრული სურათები	3	2	3	3	3	3	5	3	2	3	3	5	3
ფერების ცოდნა	4	10	11	8	7	11	8	11	10	5	11	11	8
ლექსის დასწავლა	2	0	3	9	3	2	3	2	6	2	5	5	3
საგანთა სახელწოდებების ცოდნა	5	8	9	9	9	5	7	5	8	8	8	8	9
თვლის პროცესი	1	1	2	2	1	1	2	1	12	2	2	2	2
თვლის თანმიმდევრობა	26	10	12	20	8	20	14	9	8	8	10	11	20
საგანთა კლასიფიკაცია	5	7	7	5	5	5	7	5	7	7	7	7	5
რაოდენობის აღქმა	3	4	6	3	3	3	4	4	4	4	4	4	3
გეომეტრიულ ფიგურათა განლაგება	2	7	5	5	7	2	7	7	7	7	7	7	5
სურათების შედარება	3	4	6	6	4	3	6	6	4	4	4	4	6
ფერის და ფორმის დიფერენციაცია	2	4	3	3	3	2	2	2	4	4	4	2	2
ლექსის აღდგენა	3	2	3	3	3	3	3	3	2	2	2	2	3
ანალოგიების პოვნა	4	2	4	4	4	4	5	5	3	3	3	3	4
გადახატვა	0	6	10	8	8	0	6	8	8	8	8	8	8
ნახატის აღწერა	7	7	6	6	6	7	6	7	7	7	7	7	6
ქულათა ჯამი	71	81	87	88	82	75	85	93	70	74	85	88	88
პროცენტული მაჩვენებელი	4%	25 %	40 %	40 %	25 %	10 %	30 %	30 %	10 %	10 %	30 %	40 %	40 %

ამ ბავშვების ჯენუფს მაისში იგივე მეთოდით ჩატვარეთ ტესტირება. გვაინტერესებდა თუ შეიცვლებოდა მონაცემები 8 თვის შემდეგ.

თითოეული მოსწავლისათვის ვიკელევთ კორელაცია სპირმენის რანგული კორელაციის კოეფიციენტით [8]. მივიღეთ შემდეგი მონაცემები: მოსწავლეთა 79% აღმოჩნდა მაღალი კორელაცია სექტემბერში და მაისში ჩატარებულ ტესტირების მონაცემებს შორის.

იმ მოსწავლეთა შორის, რომელთაც ჰქონდათ 60%-ზე ნაკლები მაჩვენებელი, არ იყვნენ ინტელექტუალურად მშად სასკოლო სწავლებისადმი, 78% აღმოჩნდა მაღალი კორელაცია სექტემბერში და მაისში ჩატარებულ მონაცემებს შორის 85% აღმოჩნდა მაღალი

კორელაცია, ვაჟებს შორის 71%, ხოლო მათ შორის, ვისაც ჰქონდათ 60%-ზე მაღალი მაჩვენებელი და მზად იყვნენ ინტელექტუალურად სასკოლო სწავლებისათვის 100% აღმოჩნდა მაღალი კორელაცია.

ამის შემდეგ ჩვენ გამოვყავით ბავშვების ჯგუფი, რომლებიც არ იყვნენ ინტელექტუალურად მზად სასკოლო სწავლებისათვის. სულ 13 ბავშვი. მოვახდინეთ მათი მონაცემების ანალიზი და მივიღეთ, რომ 62 % აქვს გაუმჯობესებული მონაცემები იმ სუბტესტებში, რომლებიც იკვლევს რაოდენობრივი სიმრავლეებით ოპერირების უნარს და ფორმების ცოდნას და განსხვავებას. დანარჩენ სუბტესტებში მდგომარეობა უცვლელადაა შენარჩუნებული.

გაუმჯობესება მოხდა მხოლოდ იმ სფეროში, რომელიც სასწავლო პროცესის დროს შეძენილ უნარ-ჩვენებს იკვლევს. ხოლო იმ სუბტესტებში, რომელიც ფსიქიკურ ფუნქციებს იკვლევს აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, მდგომარეობა არ შეცვლილა.

II კლასში ამ მოსწავლეთა კვლევა გავაგრძელეთ. ჩვენ გვაინტერესებდა, შეიცვლებოდა თუ არა სკოლისათვის ინტელექტუალურად მოუმწიფებელი ბავშვების მდგომარეობა შემდეგ კლასებში.

მოხდებოდა თუ არა მათი ფსიქიკური ფუნქციების მონაცემების გაუმჯობესება.

კვლევის მეთოდი:

კვლევა ჩავატარეთ ვექსლერის ინტელექტის საზომი სკალით [9] ვინაიდან გ ვიცლაკის ტესტი შესაძლებლობას იძლევა ვიკვლიოთ მხლოდ 5 წ. და 5 თვიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვები. ხოლო ვექსლერის ტესტი (5 წ. 1 თვიდან 15 წ და 11 თვის ჩათვლით ასაკის ბავშვები) ამიტომ მოცემული ტესტის გამოყენებით შეგვიძლია ჩვენს საკვლევ ჯგუფს ხანგრძლივი დროის განმავლობაში დავაკვირდეთ.

ვექსლერის ინტელექტის საზომი სკალა იკვლევს ინტელექტის განვითარების დონეს. შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ როგორც ვერბალური, არავერბალური (პრაქტიკული) ისე სრული ინტელექტის მაჩვენებელი. შედგება 12 სუბტესტისაგან. 6 სუბტესტი იკვლევს ვერბალურ ინტელექტს, 6 კი არავერბალურს. ვერბალური სუბტესტებია:

1. ზოგადი გათვითვნობირებულობა;
2. მიხვედრილობა;
3. არითმეტიკა;
4. მსგავსება;
5. ლექსიკონი;
6. ციფრების განმეორება.

ხოლო არავერბალური სუბტესტები - 7 არასაკმარისი დეტალები; 8. თანმიმდევრული სურათები; 9. კუბების აწყობა; 10. ფიგურების აწყობა; 11. კოდირება; 12. ლაბირინტი.

თითოეული სუბტესტის დავალების შესრულება ფასდება შესაბამისი ჭულით. მოცემული ჭულები ასაკობრივი სკალების მეშვეობით გადაგვყავს სკალური შეფასების სისტემაზე. ვერბალური და არავერბალური სუბტესტებისთვის ცალ-ცალკე ვთვლით სკალურ შეფასებების ჯამს. სპეციალურ ცხრილების დახმარებით მოცემული ჯამებისათვის პოულობთ ექვივალენტურ მაჩვენებელს ვერბალური და არავერბალური ინტელექტისა, ხოლო ვერბალური და არავერბალური სუბტესტების სკალური მაჩვენებლების ჯამების ჯამით შესაბამის ცხრილში პოულობთ სრული ინტელექტის მაჩვენებელს.

ინტელექტის მაჩვენებლების ინტერპრეტაცია შემდეგი სქემით მიმდინარეობს

130 და მეტი – ძალიან მაღალი ინტელექტი;

120-129 - მაღალი ინტელექტი;

110-119 - “კარგი” ნორმა;

90-169 - საშუალო დონე;

80-89 - დაქვეითებული ნორმა

70-79 - მოსაზღვრე დონე;

69 და ნაკლები - გონიერივი დეფიციტი.

ცდის პირები:

მოსწავლეების იგივე ჯგუფი.

### შედეგების ანალიზი:

ჩვენი ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობდა: იმ მოსწავლეებს რომლებიც ინტელექტუალურად არ იყვნენ მზად სკოლისათვის (მიღება 60% ნაკლები ჭულა) პირველ კლასში, ექნებოდათ მეორე კლასში ვექსლერის ინტელექტის საზომი სკალის მიხედვით საშუალო დონე, ან დატვითებული ნორმა, ხოლო ისინი ვინც ინტელექტუალურად მზად იყვნენ სკოლისათვის ექნებოდათ კარგი ან მაღალი მაჩვენებელი.

კორელაცია ვიკვლიეთ კენდელაციის კორელაციის კოეფიციენტით და მივიღეთ, რომ  $r=0.78$ .

ამით ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა.

კვლევა მესამე კლასშიც გავაგრძლეთ, რათა შეგვემოწმებინა ვექსლერის ინტელექტის საზომი სკალის მიხედვით მიღებული მონაცემები შენარჩუნდებოდა თუ არა ერთი წლის შემდეგ.

შევადარეთ II და III კლასის მონაცემები ერთმანეთს, თითოეული მოსწავლისათვის ვიკვლიეთ კორელაცია სპირომენის რანგული კორელაციის კოეფიციენტით და მივიღეთ შემდეგი მონაცემები: 85% მოსწავლეებისას აღმოაჩნდა მაღალი კორელაცია II და III კლასის მონაცემებს შორის.

ცაკლე გამოვყავით სასკოლო სწავლებისათვის მოუმწიფებელი ბავშვების ჯგუფი. აქც 88% აღმოაჩნდა მაღალი კორელაცია II და III კლასის მონაცემებს შორის.

III კლასში შეფასების სისტემაზე გადასვლამ შესაძლებლობა მოგვცა გვევლია კავშირი სკოლისათვის ინტელექტუალურ მზაობასა და სასკოლო წარმატებებს შორის.

ჩვენი ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობდა: ვინც არ იყო პირველ კლასში ინტელექტუალურად მზად სკოლისათვის, მოუმწიფებელი იყო მათი ფსიქიკური ფუნქციები, უნდა ჰქონოდათ შეფასება 2 ან 3, ხოლო ისინი ვინც ინტელექტუალურად მზად იყვნენ სკოლისათვის 4 ან 5. სასწავლო წარმატებების განმსაზღვრელად ავიღეთ საშუალო მოსწრება 3 საგნის მიხედვით (ქართული, მათემატიკა, ინგლისური ენა).

კორელაცია ვიკვლიეთ კენდელის კორელაციის კოეფიციენტით და მივიღეთ რომ  $r=0.75$ ;  $r=0.79$

ამით ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა.

მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. მოსწავლეებს, რომლებიც I კლასში არ იყვნენ ინტელექტუალურად მზად სკოლისათვის, II და III კლასში ვექსლერის ინტელექტის საზომი სკალის მიხედვით აქვთ ინტელექტის საშუალო ან ნორმაზე დაბალი მაჩვენებელი.

ხოლო მათ, ვინც ინტელექტუალურად მზად იყვნენ სკოლისათვის აქვთ ინტელექტის კარგი ან მაღალი მაჩვენებელი.

2. მოსწავლეებს, რომლებიც I კლასში არ იყვნენ ინტელექტუალურად მზად სკოლისათვის, III კლასში აქვთ შეფასებები ცუდი და დამაკამაყოფილებელი, ხოლო მათ, ვინც ინტელექტუალურად მზად იყვნენ სკოლისათვის კარგი და ფრიადი.

ზემოთ თქმულიდან დაკავშირებით შეგვიძლია დაგვასკვნათ:

1. მოსწავლეთა უმრავლესობას, რომლებიც ინტელექტუალურად არ იყვნენ მზად სკოლისათვის (არ ჰქონდათ სათანადო მომწიფებული ფსიქიკური ფუნქციები) I კლასში, შემდგომ კლასშიც რჩებათ პრობლემები შემეცნებით სფეროში, რაც აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

2. სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზება უნდა მდგომარეობდეს მასწავლებლის და ფსიქოლოგის თანამშრომლობაში აუცილებლად გასათვალისწინებელია სასკოლო სწავლებისათვის მოუმწიფებელი ბავშვების მონაცემები. წერა-კითხვა, ანგარიშის სწავლების პარალელურად უნდა ხდებოდეს მათი მოტივაციური სფეროს და ნებელობითი პროცესების განვითარება.

3. სასკოლო სწავლებისათვის მოუწმიფებელი ბავშვების მიმართ პედაგოგის დამოკიდებულება უნდა იყოს კეთილგანწყობილი ადგილი უნდა ჰქონდეს მათი წარმატების წახალისებას.

ზემოთ ჩამოთვლილი აქტიობები შესაძლებლობას მისცემს ბავშვებს არ ჩამოუყალიბდეთ ნეგატიური დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ, ისწავლონ არსებული შესაძლებლობებით მუშაობა ჩამოიყალიბონ სასწავლო უნარ-ჩვეულები, რაც მოაწიფებს მათ შემდგომი სასწავლო საქმიანობისათვის.

---

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ტ. V; მეცნიერება, თბილისი 1967.
- В.С. Выгодский «Избранные психологические исследования». М. Издательство АПИ РСФСР. 1956.
- Н.И. Красногорский «Труды по изучению нервной деятельности человека и животных». М. Медгиз 1954. т 1.
- Шванцара Иозеф и др. «Диагностика психического развития». Прага, Авиценум, 1978.
- შ. ჩხარტიშვილი “ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების პრობლემა”, თბილისი, გამომცემლობა “განათლება” 1975 წ.
- Я. Л. Коломинский, Е. А. Панько «Психология детей шестилетнего возраста», Минск 1999.
- «Альманах психологических тестов» Москва, Издательство «КСП» 1996.
- ჯ. ყვავილაშვილი “მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში”. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1990.
- Л. Ф. Бурлачук. С. М. Морозов «Словарь – справочник по психодиагностике» изд. «Питер» Санкт-Петербург 1999.
- М. К. Акимова, В. Т. Козлова «Психологическая корекция умственного развития школьников». Москва «Академия» 2000.

---

სტატია მიღებულია: 2004-11-05